პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 159 (5449)

1975 წ. 12 აგვისტო, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

მეოთხედ!

ევროპის მოყვარულ ჩოგბურთელთა VII ჩემპიონატმა ვენის კორტებზე 15 სახელმწიფოს 120 სპორტსმენს მოუყარა თავი.

ვაჟთა ერთეულების თანრიგში ბრწყინვალე წარმატებას მიაღწია სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ჩემპიონმა, თბილისელმა ა. მეტრეველმა, რომელმაც ფინალურ მატჩში ოთხსაათ-ნახევრიანი ბრძოლის შემდეგ დაამარცხა უნგრელი ბ. ტაროცი — 1:6, 6:0, 4:6, 7:6, 8:6.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ჩოგბურთელები კონტინენტის შარშანდელი ჩემპიონატის ფინალშიც შეხვდნენ ერთმანეთს. მაშინ ტაროციმ გაიმარჯვა. იგი ამჯერადაც ახლოს იყო წარმატებასთან, როცა გადამწყვეტ, მეხუთე პარტიაში წინ იყო ანგარიშით 5:1. მაგრამ მეტრეველმა ამ კრიტიკულ ვითარებაში გამარჯვებისადმი შეუნელებელი სწრაფვა და შესანიშნავი ტაქტიკური ალღო გამოავლინა და ამ პარტიის მოგებით საბოლოო გამარჯვებას მიაღწია.

ქალთა ერთეულების თანრიგში უმაღლესი ჯილდო ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელს რ. ტომანოვას ხვდა, რომელმაც ფინალში თანამემამულე რ. მარშიკოვა დაამარცხა — 6:4, 5:7, 6:3.

ბრინჯაოს მედლისთვის ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოველი ო. მოროზოვა და ჰოლანდიელი ვ. აპელი. გაიმარჯვა მოროზოვამ — 6:3, 6:0.

სურათზე: ა. მეტრეველი, რომელმაც მეოთხედ მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება ერთეულთა თანრიგში.

მ. ზარგარიანის ფოტო.

64 მონაწილე და 13 ტური

ჩელიაბინსკში გაიხსნა სსრ კავშირის ვაჟთა 43-ე ჩემპიონატის შესარჩევი მასობრივი ტურნირი. შეჯიბრებაში 64 კაცი მონაწილეობს და მათ შორის მხოლოდ ერთია დიდოსტატი (კიეველი ი. პლატონოვი). ტურნირი შვეიცარიული სისტემით ჩატარდება — შედგება 13 ტური. I ადგილზე გასული მოჭადრაკე უმაღლესი ლიგის ტურნირში დაიშვება, II-VII ადგილების მფლობელნი კი — პირველ ლიგაში.

წილისყრით, I ტურში თბილისელებიდან ე. უბილავა შეხვდება ოდესელ საერთაშორისო ოსტატ პოდგაეცს, ზ. სტურუა — კიეველ ოსტატ პერესიპკინს და გ. კალატოზიშვილი — მოსკოველ ივანოვს.

(დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.).

გუფელდი — ტუკმაკოვი 1:0

ვილნიუსში, საბჭოთა ზონალურ ტურნირში IV ტური შედგა. თბილისელმა დიდოსტატმა ე. გუფელდმა დაამარცხა ვ. ტუკმაკოვი (ოდესა), დ. ბრონშტეინმა — მ. დვორეცკი (ორივე — მოსკოვი).

ყაიმით დასრულდა პარტიები: ა. ბელიავსკი (ლვოვი) — მ. ტაიმანოვი (ლენინგრადი), ე. ვასიუკოვი (მოსკოვი) — ვ. ცეშკოვსკი (ომსკი), რ. ხოლმოვი (მოსკოვის ოლქი) — ბ. გულკო (მოსკოვი).

გადაიდო ორი შეხვედრა: ე. საეონი (ხარკოვი) — ლ. ალბურტი (ოდესა) და ი. ბალაშოვი (მოსკოვი) — ო. რომანიშინი (ლვოვი).

მოსკოვის ჩემპიონ კ. გრიგორიანის ავადმყოფობის გამო არ შედგა მისი შეხვედრა რ. ვაგანიანთან (ერევანი).

სამი დიდოსტატის სალამო

მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში, გასულ პარასკევს მსოფლიო ჩემპიონი ა. კარპოვი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ტ. პეტროსიანი და მ. ტალი გულშემატკივრებს შეხვდნენ.

დიდოსტატებმა უამრავ შეკითხვას გასცეს პასუხი. რა თქმა უნდა, შეკითხვები მილანის საერთაშორისო ტურნირსაც შეეხებოდა, სადაც სამივემ უნდა ითამაშოს. მერე კარპოვმა სპარტაკიადაში ბ. სპასკისთან მოგებული პარტია გაარჩია. პეტროსიანმა და ტალმა ითამაშეს საჩვენებელი ბლიც-მატჩი, რომელიც ყაიმით (4:4) დამთავრდა.

ზოგმა თავი შეიკავა

იუგოსლავიის ქალთა ჩემპიონატის ფინალში 16 მოჭადრაკე ჩაება. თამაშზე უარი თქვეს საერთაშორისო ოსტატებმა ვ. კალხბრენერმა და ტ. ბელამარიჩმა. მონაწილეთა შორის არიან ცნობილი საერთაშორისო ოსტატები მ. ლაზარევიჩი, კ. იოვანოვიჩი, მისი და — გ. მარკოვიჩი, ტ. შტადლერი და სხვები. ტურნირი 25 აგვისტომდე გაგრძელდება.

იქნებ ნიჭიერი მსახიობიცაა?

აზიის ერთადერთი დიდოსტატი, ფილიპინელი ე. ტორე ამას წინათ თავის ქვეყანაში ყველაზე პოპულარულ სპორტსმენად აღიარეს. ამასთან დაკავშირებით ეროვნულმა კინოსტუდიამ ტორე ერთ-ერთ ფილმში გადასაღებად მიიწვია, რასაც იგი სიამოვნებით დასთანხმდა.

„დონბასის თასი“

დონეცკში დამთავრდა ჩოგბურთელთა პირველი ტურნირი „დონბასის თასზე“. ამ შეჯიბრების აბსოლუტური ჩემპიონი გახდა დონეცკელი სპორტსმენი ა. კოლიასკინი. მან ერთეულების თანრიგში ფინალურ შეხვედრაში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი ზ. სტრაზონი, შემდეგ ა. კოსტენკოსთან ერთად დასკვნით შეხვედრაში მოუგო სტრაზონსა და პ. ჩოუპეკს (ორივე — ბრნო), ხოლო ე. იზოპაიტისთან (მოსკოვი) ერთად შერეულ წყვილთა თანრიგში აჯობა სტრაზონს და ო. ვორსინას (მოსკოვი).

ქალთა ერთეულების თანრიგში ჩემპიონია ლ. პეტროვა (კიევი), რომელმაც დასკვნითი შეხვედრა მოუგო იზოპაიტისს.

გაისად „დონბასის თასის“ გათამაშებაში დონეცკში მონაწილეობას მიიღებენ პოლონეთის, იუგოსლავიისა და გდრ-ის სპორტსმენებიც.

(საქდესის კორ.).

დონეცკი.

ჯილდოსთვის ბრძოლაში

გრძელდება საკონტინენტთაშორისო თასის გათამაშება კალათბურთელ ვაჟთა გუნდებს შორის. ბრაზილიის ნაკრებმა რიო-დე-ჟანეიროში ანგარიშით 68:64 (41:31) დაამარცხა იტალიის ეროვნული გუნდი. მექსიკელთა კოლექტივმა თავის მოედანზე სძლია საბერძნეთის ნაკრებს — 87:73 (39:35), მეორე დღეს კი ევროპის ჩემპიონთან — იუგოსლავიის გუნდთან დამარცხდა უაღრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ — 65:66 (47:39).

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ნაკრები თასის გათამაშების „მეორე რაუნდში“ 12 აგვისტოს ჩაებმება, როცა რიო-დე-ჟანეიროში ბრაზილიის ნაკრებს შეხვდება.

წინაოლიმპიური შეჯიბრებები

ყველა მატჩი მოიგეს...

მონრეალი, 9 აგვისტო. მსოფლიო ჩემპიონებმა — სსრ კავშირის წყალბურთელებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს ჰამილტონსა და მონრეალში გამართულ წინაოლიმპიურ ტურნირში — მათ ცხრავე მატჩი მოიგეს. ბოლო თამაში საბჭოთა გუნდს კუბის ნაკრებთან ჰქონდა და გაიმარჯვა ანგარიშით 9:7. კუბელები II ადგილზე გავიდნენ.

III ადგილი დაიკავა კანადის ეროვნულმა გუნდმა, რომელმაც ბოლო მატჩი მექსიკელებთან ჩაატარა. ეს შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 3:3. მექსიკის ნაკრები ბოლო, IV ადგილზეა.





მზადება შავი ზღვის პირას...

შორს აღარაა 20 ოქტომბერი, როცა, პიტვინთაში საზეიმოდ გაიხსნება ნ. გაფრინდაშვილისა და ნ. ალექსანდრიას მატჩი ქალთა შორის მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის, მეორე დღეს კი მეტოქენი თამაშს დაიწყებენ.

სულ ახლახან რიგაში, მოჭადრაკეთა სასპარტაკიადო გუნდურ ტურნირში მსოფლიო ჩემპიონი და პრეტენდენტი მხარდამხარ იბრძოდნენ საქართველოს გუნდის ინტერესებისთვის. მათი სამაგალითო მონდომება, ურთიერთმხარდაჭერა და საქმისადმი ერთგულება საერთო მოწონებას იმსახურებდა. მოჭადრაკე ქალებმა თავიანთი შედეგებით გუნდს თვალსაჩინო წარმატება მოუტანეს.

და აი, ნ. გაფრინდაშვილი და ნ. ალექსანდრია მწვრთნელებთან ერთად თავიანთი მატჩისთვის მზადებას შეუდგნენ.

დღეს გთავაზობთ ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის მ. ზარგარიანის ფოტოებს, რომლებიც მან გაგრაში მსოფლიო ჩემპიონსა და მის მწვრთნელს, დიდოსტატ ა. გიპსლისს გადაუღო.

— როგორც იცით, მატჩის პირველი ნახევარი, 8 პარტია ზღვისპირა აგარაკზე გაიმართება. ამიტომ დასასვენებლად და სამუშაოდ გაგრა ავირჩიეთ. თეორიაში მეცადინეობის პარალელურად, ფიზიკურ მომზადებასაც სერიოზულ ყურადღებას ვაქცევთ, — უთხრა ნონამ ჩვენს ფოტოკორესპონდენტს.

ჟამი ფიქრისა და განსჯისა

შენ რაღა გელის, ძიუდო?

ძიუდოს ჩასახვას, განვითარებასა და აყვავებას საქართველოში უდავოდ აქვს ობიექტური, ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზებიც. ძიუდომ ერთგვარად გააგრძელა ჩვენი ერის ძველთაძველი ტრადიცია და შეკრა წრე, სადაც ცალკე ეტაპებადაა წარმოდგენილი ჯერ ქართული ჭიდაობა, მერე სამბო და ბოლოს — მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული თავდაცვის იაპონური კომპლექსი.

ძიუდო არც ისე დიდი ხნის წინათ შეიტანეს ოლიმპიური თამაშების პროგრამაში (1964 წ., XIX ოლიმპიადა), მაგრამ ეს ფაქტი სავსებით საკმარისი აღმოჩნდა მისი საქვეყნოდ აღიარებისთვის. და, ვინაიდან ძიუდომ დაიმკვიდრა ადგილი მზის ქვეშ, მისი პოპულარიზაცია დაიწყო დედამიწის სხვადასხვა კუთხეში.

საქართველოში ძიუდოს ნოყიერი ნიადაგი დახვდა. ეს ნიადაგი გაპოხიერებული იყო ქართული ჭიდაობის გამოცდილებით და, ამდენად, ჩვენს ფალავნებს დიდად არ გასჭირვებიათ „უცხო ლიანდაგზე“ გადასვლა. ძიუდომ ერთბაშად მოიპოვა პოპულარობა რესპუბლიკაში. მას სულ მალე გაუჩნდა გულმხურვალე მიმდევრები და ჩვენც, ჭიდაობის ყველა სახეობის გულშემატკივრები, მოწმენი გავხდით პირველი წარმატებებისა.

დღეს ამ წარმატებათა აღნუსხვას აზრი არა აქვს. შევახსენებთ მხოლოდ წლევანდელ გამარჯვებებს, რომლებსაც საძირკველი ჩაეყარა თბილისის საერთაშორისო ტურნირში (5 ჩემპიონი ექვსიდან), გაღრმავდა ევროპის ჩემპიონატში (4 სხვადასხვა ღირსების მედალი) და ბოლოს სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადის ფინალში დაგვირგვინდა (194 ქულა, გუნდური I ადგილი და 8 მედალი).

განსაკუთრებით სასიხარულოა საქართველოს ძიუდოისტთა ბოლო, სასპარტაკიადო წარმატება, რომლის ცენტრალური ფიგურაც უდავოდ ჯიბილო ნიჟარაძე იყო. ამ შეუპოვარი ფალავნის წარმატებათა არითმეტიკული გამოხატულებაა ერთი ოქროს მედალი და ერთიც ვერცხლისა, რამაც რესპუბლიკის სასპარტაკიადო ყულაბას 54 ქულა შემატა. ნიჟარაძეზე უკეთესი მაჩვენებლები საქართველოს დელეგაციაში ჰქონდათ მხოლოდ მოცურავე ი. ომელჩენკოს (76 ქულა) და ტანმოვარჯიშე პ. შამუგიას (58,5).

ქებით უნდა მოვიხსენიოთ სხვა სახელოვანი ძიუდოისტებიც, რომელთა წვლილი საქართველოს დელეგაციის საერთო შედეგში ასევე დიდია და საამაყო. ესენი არიან რამაზ ხარშილაძე (ოქროს მედალი), გივი ონაშვილი, შოთა ჩოჩიშვილი, თეიმურაზ ხუბულური, დილარი ხაბულიანი და შენგელი ფიცხელაური (ბრინჯაოს მედლები).

ჩვენს დღევანდელ საუბარში, რომლის მიზანიცაა ყურადღების გამახვილება სპორტის ამ სახეობის აქტუალურ პრობლემებზე, მონაწილეობდნენ ერთის მხრივ რედაქციის თანამშრომელი, მეორეს მხრივ კი — საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი, ადამიანი, რომელიც ყველაზე ახლოს დგას ჩვენი ძიუდოს ავ-კარგთან და სისხლხორცეულადაა დაკავშირებული მის აწმყოსა და მომავალთან. ამ საუბარში შეიძლება ბევრი მწარე სიტყვა ითქვას, შეიძლება უსიამოვნო დასკვნებიც გაკეთდეს, რა ვუყოთ, რომ საქართველოს ძიუდო დღეს სპარტაკიადის ტრიუმფატორია. დღეს შეიძლება ასე იყოს, ხვალ კი... არავინ არის დაზღვეული იმისგან, რომ, თუ დროზე არ გაკეთდა სათანადო დასკვნები, ძიუდომაც შეიძლება სპორტის სხვა სახეობათა მწარე ხვედრი გაიზიაროს. ამის მაგალითები უხვად მოგვცა განვლილი სპარტაკიადის შეჯიბრებებმა.

მაშ ასე, პირველი ზოგადი ხასიათის შეკითხვა უფროსი მწვრთნელისადმი:

● **რამ განაპირობა საქართველოს ძიუდოისტთა წარმატება სასპარტაკიადო ტურნირში?**

— მკაცრმა დისციპლინამ მოჭიდავეებში, მკაცრმა დისციპლინამ მწვრთნელებში. სასპარტაკიადო შეჯიბრების მნიშვნელობა ყველას ღრმად აქვს შეგნებული, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მნიშვნელობაზე საუბარი მაინცაა საჭირო. მწვრთნელმა თავისი შრომით, თავდადებითა და მუყაითობით მაგალითი უნდა მისცეს სპორტსმენს. ამიტომაც მწვრთნელთა შორის დისციპლინა საერთო წარმატების ერთ-ერთ მთავარ პირობად მიმაჩნია. ამავე დროს, უნდა გითხრათ, რომ მე ნაკრებში ცენტრალიზმის მომხრე ვარ. გუნდს, რომელიც საპასუხისმგებლო შეჯიბრებისთვის ემზადება, ერთი უფროსი უნდა ჰყავდეს, რომელსაც, რაკი გამოვუცხადეთ ესოდენ დიდი ნდობა, ყველა სადავეც უნდა ჩავაბაროთ. კოლექტიური ხელმძღვანელობა, როგორც დემოკრატიის საწყისი, კარგია ლეიბზე წვრთნისა და მზადების პროცესში. აზრთა სხვადასხვაობას ასეთ დროს გარკვეული სარგებლობა მოაქვს, მაგრამ კარდინალური საკითხების გადაწყვეტაში უპირატესობა უნდა მივანიჭოთ ერთის აზრს, იმის აზრს, ვისაც კოლექტივის ბედი ვანდეთ. მხოლოდ ამ გზით მიიღწევა ის რკინის დისციპლინა, რომელიც გამარჯვების გარანტიად მიგვაჩნია.

● **ხშირად ჩვენი მწვრთნელები უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ მსაჯობის ხარისხით და ზოგიერთ წარუმატებლობას მთლიანად ამ უსიამოვნო ფაქტორს აბრალებდნენ.**

— უსწორო, არაობიექტური მსაჯობა შეიძლება საბედისწერო შეცდომის მიზეზი გახდეს. თვით მე ბევრჯერ ვყოფილვარ იმის მოწმე, თუ როგორ დაუჩაგრავს სპორტსმენი მსაჯის ერთ „არასწორ სასტვენს“. მართალი გითხრათ, გული მუდამ ბოღმით მევსება, როცა ასეთ უსამართლობას ვხედავ, მაგრამ არ შეიძლება მხოლოდ მსაჯების შეცდომას მივაწეროთ წარუმატებელი გამოსვლა სპორტის ამა თუ იმ სახეობაში. ცუდმა მსაჯობამ შეიძლება გარკვეული დაღი დაასვას ამა თუ იმ სპორტსმენის ჭიდაობას, მაგრამ, ჯერ ერთი, ასეთი არბიტრები, საბედნიეროდ, თითებზე არიან ჩამოსათვლელი და, მეორეც, წარმოუდგენელია, რომ ყველა მსაჯმა შეიკრას პირი ერთი რომელიმე კოლექტივის წინააღმდეგ. ძიუდოისტთა ტურნირი იმითაც იყო გამორჩეული, რომ მსაჯობის მიმართ პრეტენზია არავის გამოუთქვამს.

● **შეიძლება თუ არა კიდევ წარმატების სხვა პირობების დასახელება?**

— წარმატებას სპორტის ამა თუ იმ სახეობაში განსაზღვრავს, აგრეთვე, სისტემატური და ბეჯითი ვარჯიში, მაგრამ არა მგონია, რომ ამით რაიმე ახალი ვთქვი. მე უფრო სხვა ფაქტორს დავასახელებ, რომელიც, ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია მუშაობის დასკვნით პერიოდში. ეს ფაქტორია ნაკრები გუნდის სწორი და ობიექტური დაკომპლექტება.

● **თუ შეიძლება უფრო კონკრეტულად განმარტეთ ეს სიტყვები. განა დასაშვებია, რომ მწვრთნელი, რომელსაც გუნდის ბედ-იღბალი აბარია, ყველაზე პასუხსაგებ მომენტში არაობიექტური იყოს? ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ეს ხომ მისი მუშაობის მინუსიცაა?**

— სამწუხაროდ, მწვრთნელებში დღესაც ღრმადაა ფესვებგადგმული ეგრეთ წოდებული შენ-ჩემობა. ვიწრო, საუწყებო ინტერესებისადმი მონობას ხშირად გაუგონარ სუბიექტურობამდე მიჰყავს ესა თუ ის მწვრთნელი. აბა გულზე ხელი დავიდოთ და ვთქვათ, როგორ რეაქციას იწვევს ჩვენში თბილისის გუნდების მარცხი რესპუბლიკურ პირველობებში? რატომღაც დაკანონდა, რომ თბილისის გუნდი უსათუოდ პირველი უნდა იყოს და, თუ ზოგჯერ ასე არ ხდება, მწვრთნელი პირდაპირ გაცოფებულია, ცდილობს ყოვლად უსუსური არგუმენტებით გააბათილოს გამარჯვებულის ღირსება. ერთი დანაშაულია, როცა ასე ხდება რესპუბლიკურ ტურნირებში, მაგრამ ორმაგად უფრო დიდი დანაშაულია, როცა საუწყებო ინტერესებს, შენ-ჩემობას თავს ვერ ვაღწევთ ნაკრები გუნდების დაკომპლექტებისას. ყოველივე ამის გათვალისწინება ჩვენ მუშაობის მთავარ პრინციპად დავსახეთ და ყოველმხრივ ვეცადეთ ობიექტურად შეგვექმნა ნაკრები. თუ ვინმე ჩვენი გადაწყვეტილებით უკმაყოფილოა, ჩანს, სასურველ მიზანს ბოლომდე მაინც ვერ მივაღწიეთ.

● **პირადად თქვენ და ძიუდოში მომუშავე სხვა სპეციალისტებს ხშირად გამოგითქვამთ აზრი პრესაში იმის თაობაზე, რომ ასეთ მიკერძოებულობას იჩენენ არა მარტო მწვრთნელები, არამედ მთელი ორგანიზაციები, ამ შემთხვევაში სპორტსაზოგადოებები.**

— დიახ, ასე იყო რამდენიმე წლის წინათ და, კიდევ კარგი, რომ ამას სასტიკი ბრძოლა გამოვუცხადეთ. მაგრამ ეს შეკითხვა ერთგვარ დაზუსტებას საჭიროებს. სპორტსაზოგადოებების სახელით ასეთ შემთხვევაში ისევ ის მწვრთნელები მოქმედებენ, რომლებიც თავიანთი ორგანიზაციების იქით არ იხედებიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ძიუდოს განვითარება სპორტსაზოგადოებათა მხოლოდ ერთი ჯგუფის საქმეა და სხვებს მასთან არავითარი საქმე არა აქვთ. ისინი ამ მცდარ შეხედულებას თავს ახვევენ საზოგადოებათა ხელმძღვანელებს, რომლებიც თავის მხრივ დარწმუნებული არიან, რომ ამით ჭეშმარიტებას ემსახურებიან. მე კი პირდაპირ ვაცხადებ, რომ სპორტსაზოგადოებათა ასეთი ხელოვნური კლასიფიკაცია არ არის სწორი, ჯერ თუნდაც იმიტომ, რომ ერთ ორგანიზაციას უსათუოდ გაუჭირდება ამდენი ძიუდოისტის შენახვა (მწვრთნელს, ამ შემთხვევაში, მხედველობაში ჰყავს უფროსების, ახალგაზრდებისა და ჭაბუკთა გუნდები. — რედ.).

● **კი მაგრამ, თქვენ რა გზას გვთავაზობთ?**

— აქ ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეგნებული და, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივი მოღვაწეა მწვრთნელი. ჩემთვის უხერხულია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ შეკითხვებს მისვამთ და იძულებული ვარ გიპასუხოთ, თანაც მე ვიყავი ასეთი კლასიფიკაციის მთავარი მოწინააღმდეგე, ამიტომაც საკუთარ მაგალითს უნდა მივმართო. ჩემი მოწაფეები მოდებული არიან ყველა სპორტსაზოგადოებას: არმიის სპორტულ კლუბში გამოდიან გოგოლაური, ოდიშელიძე, მუზაევი, წიკლაური, „სპარტაკში“ — ხაბულიანი და ელიბაშვილი, „განთიადში“ — ბაგაშვილი და კეთილაძე, „კოლმეურნეში“ — ონაშვილი და ბევრი კიდევ სხვა. მე ამით, მართალი გითხრათ, არაფერი დამიკარგავს, სამაგიეროდ, სპორტსაზოგადოებებმა აშკარად მოიგეს. ისინი დაინტერესდნენ ძიუდოს განვითარებით, საქმე წინ წასწია და საბოლოო ჯამში ჩვენმა საყვარელმა სახეობამ იმძლავრა.

● **ქართული სპორტის გულშემატკივრები შეშფოთებული არიან ჩვენი თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეების წარუმატებლობით საბჭოთა კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადაში. რა დასამალია, მეექვსე გუნდურ ადგილზე ბევრად უკეთეს შედეგს მოველოდით თავისუფალი და კლასიკური სტილის მოჭიდავეებისგან, რომლებიც ყველა წინა სპარტაკიადაში ფავორიტთა შორის იყვნენ. ძიუდოსაც იგივე ბედი ხომ არ უწერია?**

— ამ საკითხზე პასუხის გაცემა ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გავიგებთ მეექვსე სპარტაკიადის გაკვეთილს და რა დასკვნებს გამოვიტანთ მისგან. ერთი რამ ყველამ უნდა იცოდეს: ჭიდაობის ძველი ტრადიციების აღორძინებაზე ლაპარაკს აზრი მანამდე არ ექნება, სანამ არ გარდავქმნით მუშაობას ქართულ ჭიდაობაში, დიახ, ქართულ ჭიდაობაში, ვინაიდან ჩვენში, ისევე როგორც დაღესტანში, სომხეთში, აზერბაიჯანში, ყაზახეთში და სხვაგან, ყველა კლასიკური სახეობის აწმყო და მომავალი ეროვნული ჭიდაობის მყარ ნიადაგზეა აღმოცენებული. ჩვენში, საქართველოში, უყვართ ლაპარაკი ქართული ჭიდაობის განვითარებაზე, მაგრამ იგი წარმოდგენილი აქვთ როგორც სამუზეუმო ექსპონატი. მე კი სხვაგვარად ვუდგები საკითხს. ქართული ჭიდაობა ყველა ჭიდაობის საწყისად მიმაჩნია და ამიტომაც მას სამუზეუმო კი არა, უფრო არსებითს მნიშვნელობას ვანიჭებ. ქართული ჭიდაობა მაშინ კი არ უნდა გავიხსენოთ, როცა გვინდა რომელიმე უცხოელს ვაჩვენოთ ჩვენი ერის ტრადიცია, არამედ მუდამ, ყოველდღე, ყოველ მეცადინეობაზე, ვარჯიშში. ზერელე ლაპარაკი იმაზე, რომ ქართული ჭიდაობა მეტ ყურადღებას იმსახურებს, მხოლოდ ლაპარაკია და მეტი არაფერი. სინამდვილე კი სულ სხვაა და, რაოდენ გულდასაწყვეტიც უნდა იყოს, საჭიროა გაბედულად ჩავხედოთ მას თვალებში. დღეს ქართულ ჭიდაობაში არ არსებობს არც ერთი სპეციალიზებული სექცია გამოცდილი სპეციალისტებითა და ვარჯიშის ერთიანი სისტემით. აი, სად უნდა დაესვას წერტილი ფუჭ ლაპარაკს და საიდან უნდა დავიწყოთ საქმე. არ გვაქვს სპეციალიზებული სექცია, არ გვყავს სპეციალისტები, არ გვაქვს საჭიდაო დარბაზი, ჩოხა, სარბიელი და ვლაპარაკობთ ქართული ჭიდაობის აღორძინებაზე. როცა ლამაზი სიტყვები საქმით შეიცვლება, როცა ქართულ ჭიდაობას რესპუბლიკის სპორტულ კალენდარში მხოლოდ ფორმალური მნიშვნელობა არ ექნება, როცა ჩვენს სოფლებსა და რაიონულ ცენტრებში ვნახავთ ნამდვილ მუშაობას და არა სტიქიურად შეკრულ წრეს, სადაც უფრო ერთობიან, ვიდრე სწავლობენ ახალგაზრდები, მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი ნამდვილი ლაპარაკი ჭიდაობის აღორძინებაზე.

● **რომელი ჭიდაობა გაქვთ ამ შემთხვევაში მხედველობაში?**

— ყველა სახის ჭიდაობა და მათ შორის ძიუდოც, რომელსაც კიდევ რამდენიმე წელს შეუძლია ინერციით შეინარჩუნოს მოწინავე ადგილი, მერე კი უეჭველად დადგება უკვე ნაცნობი პრობლემების წინაშე. მე განგებ არაფერს ვამბობ დარბაზის, ტატამისა და სხვა ინვენტარის უქონლობაზე: ამაზე ლაპარაკიც კი მერცხვინება.

● **საქართველოს ძიუდოისტთა წარმატებას ფართოდ გამოეხმაურა ჩვენი გაზეთის მკითხველი. შეუძლებელია, რომ ეს მხარდაჭერა არ გეგრძნოთ თქვენ შრომისა და ბრძოლის პროცესში.**

— ყოველ ძიუდოისტსა და მწვრთნელს ღრმად ჰქონდა შეგნებული, რასაც ელოდა ჩვენგან რესპუბლიკა. ცხადია, ჩვენ ვგრძნობდით ასეთ სიყვარულსა და პატივისცემასაც. საერთოდ, ყურადღება მძიმე ბრძოლების წინ მუდამ გვეხმარება და გვამხნევებს. ჩვენ, მაგალითად, დიდი კმაყოფილებით შევხვდით ცნობას იმის შესახებ, რომ ქართველი ძიუდოისტები, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრები რესპუბლიკურმა სპორტკომიტეტმა საპატიო სიგელებით დაგვაჯილდოვა. სამწუხაროდ, დღემდე ეს სიგელები არ მივვიღია, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ჩვენს მიმართ ყურადღება და სითბო გამოიჩინეს. ასეთი ყურადღება ხალისსა და ენერგიას გვმატებს მუშაობაში. რა დასამალია, ჩვენ ხშირად ბალღებს ვემსგავსებით და ერთი თავზე ხელის გადასმა ათას ლამაზ სიტყვას გვირჩევნია.

● **ამ ბოლო დროს რამდენიმე ერთმანეთის გამომრიცხავი აზრი გვესმის ჭიდაობის სპეციალიზებული სკოლის შესახებ. რა აზრისა ხართ თქვენ? რა როლს ასრულებს ეს სკოლა თქვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, საქმიანობაში?**

— ამ საკითხზე მე ჩემი მტკიცე შეხედულება და პოზიცია მაქვს. ჭიდაობის უმაღლესი სპეციალიზებული სკოლა აუცილებელი, საჭირო და სასარგებლო ორგანიზაციაა და ძიუდო, ისევე როგორც ჭიდაობის სხვა სახეობები, უმისოდ წარმოუდგენელია. მეტსაც გეტყვით, ნაკრების ყველა წევრი ამ სკოლაში რომ არ იყოს გაერთიანებული, საერთოდ შეუძლებელი იქნებოდა სისტემატური, გეგმაზომიერი და ერთობლივი წვრთნის ჩატარება, ვინაიდან ვერც ერთი სპორტსაზოგადოება ვერ შეძლებდა ერთ წონით კატეგორიაში 7-8 მოჭიდავის შენახვას. ასე რომ, სკოლა აუცილებელია და მას სარგებლობის მეტი არაფერი მოაქვს. ეს ჩვენ საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდმაც დაგვანახვა. სულ სხვა საქმეა სკოლის მუშაობის სისტემის გადასინჯვა. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ ამ სკოლაში თავმოყრილი უნდა იყოს ყველა მოწინავე, საუკეთესო მწვრთნელი. მაგრამ მათ, ამავე დროს, საშუალება უნდა მივცეთ სხვა მოსამზადებელ ჯგუფებთან მუშაობისა, ვინაიდან საყოველთაოდ ცნობილია, რომ ცვლას, მომავალ თაობას, ყველაზე უკეთ სწორედ ეს გამოცდილი მწვრთნელები აღზრდიან. არსებობს თუ არა რაიმე საშუალება ამ საკითხის გადასაჭრელად? ალბათ არსებობს, ოღონდ ამისთვის შესაბამისმა ორგანიზაციებმა უნდა იზრუნონ და მაშინ ჩვენ — ნაკრებთან მომუშავე მწვრთნელებს სამართლიანად მოგვთხოვენ არა მარტო უკვე ჩამოყალიბებულ სპორტსმენთა ოსტატობის ამაღლებას, არამედ ახალგაზრდა თაობის აღზრდასაც, საიმედო რეზერვისა და მომავლის შექმნას, ურომლისოდაც ძიუდოც ისევე განწირული იქნება, როგორც ჭიდაობის სხვა სახეობებია დღეს ჩვენში.

ჩემპიონატი „ოლიმპიურ ტონებში“

კიევი, 11 აგვისტო. ცხენის გაწვრთნაში ევროპის ჩემპიონატის ბოლო დღეს განსაკუთრებით გამოიჩინა თავი შვეიცარიელმა სპორტსმენმა ქალმა კრისტინ შტიუკელბერგერმა. მან „დიდი პრიზის“ გუნდურ გათამაშებაში ყველაზე უკეთესი ინდივიდუალური შედეგი მოიპოვა, ახლა კი გაიმარჯვა პირად ტურნირში და „გრან-პრი“ დაიმსახურა. საცხენოსნო სპორტის დილეტანტებისთვისაც კი აშკარა იყო კრისტინისა და მისი შეუდარებელი ქურანი ბედაურის გრანატის მაღალი ოსტატობა. ახალი ჩემპიონის შედეგია 1397 ქულა. მას საგრძნობლად ჩამორჩნენ მეორე და მესამე პრიზიორებიც კი — გფრ-ის წარმომადგენელი ჰარი ბოლდტი (1343) და კარინ შლიუტერი (1280).

კრისტინმა სპეციალისტების ყურადღება პირველად შარშან მიიქცია კოპენჰაგენში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში, როცა, ყველასთვის მოულოდნელად, ვერცხლის მედალი მოიპოვა. ეჭვი არ არის, მონრეალში შტიუკელბერგერი ჩაერევა პირველობისთვის ბრძოლაში, რომელიც დიდი ხანია სსრ კავშირისა და გფრ-ის სპორტსმენებს აქვთ გაჩაღებული.

პირადი „გრან-პრისთვის“ ბრძოლაში მონაწილეობდა მხოლოდ საუკეთესო ბედაურებზე ამხედრებული 12 უძლიერესი ცხენოსანი, მათ შორის 5 საბჭოთა სპორტსმენი. მათგან ყველას აჯობა ოლიმპიურმა ჩემპიონმა გუნდურ შეჯიბრებაში ი. კალიტამ—1273 ქულა, რომელმაც საერთო IV ადგილი დაიკავა. ე. პეტუშკოვას 1212 ქულა აქვს, ვ. უგრიუმოვს — 1199, მ. კოპეიკინს — 1198, ნ. მენკოვას — 1160.

წინადღით დიდი უპირატესობა მოიპოვა გფრ-ის ნაკრებმა, თუმცა ოლიმპიური ჩემპიონი ლიზელოტ ლიზენჰოფი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი რაინერ კლიმკე გუნდში არ გამოდიოდნენ. ბოლდტმა, შლიუტერმა და ილზებილ ბეჰერმა გაიმარჯვეს ევროპის ჩემპიონატის პირველ მთავარ შეჯიბრებაში — „დიდი ოლიმპიური პრიზის“ გუნდურ გათამაშებაში. გამარჯვებულთა შედეგია 4966 ქულა. დასავლეთგერმანელმა ცხენოსნებმა გაიმეორეს ევროპის წინა ჩემპიონატში (ააჰენი, 1973 წ.) მოპოვებული წარმატება.

მაღალია სამივე სპორტსმენის ინდივიდუალური შედეგებიც. ბოლდტს 1686 ქულა აქვს (დღის მეორე შედეგი), შლიუტერს — 1679 (მესამე), ბეჰერს — 1601 (მეხუთე).

სსრ კავშირის ნაკრებმაც შეინარჩუნა ააჰენში მოპოვებული მეორე ადგილი — 4781. საბჭოთა ქვეყნის ღირსებას იცავდნენ პეტუშკოვა — 1602 (მეოთხე შედეგი), კალიტა — 1599 (მეექვსე), კოპეიკინი — 1580 (მეშვიდე).

საბჭოთა გუნდსაც აკლდა ერთი ლიდერი — 1968 წლის ოლიმპიური ჩემპიონი ი. კიზიმოვი.

„№ 2 საშუალო პრიზის“ გათამაშებაში — „დიდი ოლიმპიური პრიზის“ პრელუდია-რეპეტიციაში — უძლიერესებიდან მხოლოდ შტიუკელბერგერი არ მონაწილეობდა. ამ მოულოდნელმა და ძალიან თამამმა ტაქტიკურმა სვლამ იმედი გაამართლა. კრისტინი, როგორც იტყვიან, ფარდის დახურვის წინ გამოვიდა სარბიელზე (ბოლოსწინა სასტარტო ნომერი ჰქონდა) და იმდენად ოსტატურად იასპარეზა, რომ მყისვე ჩამოიტოვა ყველა მეტოქე. საუცხოო შედეგით (1856 ქულა) ნიჭიერი შვეიცარიელი ცხენოსანი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა. თვით ბოლდტიც კი გამარჯვებულს ლამის 200 ქულით ჩამორჩა.

— ოლიმპიადამდე ერთი წელი დარჩა, მაგრამ დღეს უკვე მისი სულისკვეთებითაა გამსჭვალული თითქმის ყველა საერთაშორისო ტურნირი, — თქვა საბჭოთა ცხენოსანთა ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სსრ კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელმა ნ. შელენკოვმა. — ეს კიდევ უფრო მეტად ეხება გაწვრთნის ოსტატებს, რომლებმაც კიევში კონტინენტის ჩემპიონატის პრიზები გაითამაშეს. ევროპაში ხომ 21-ე ოლიმპიურ თამაშებამდე ტარდება მხოლოდ ერთი დიდი ასპარეზობა — ააჰენში, საბჭოთა ნაკრებისთვის კი კიევის ტურნირი ბოლო შეჯიბრებაა ოლიმპიადის წინ. უნდა ითქვას, რომ მან დაამტკიცა ჩვენი ოლიმპიური იმედების საფუძვლიანობა. მე მხედველობაში მაქვს, რომ საბჭოთა ნაკრებს სურს მიუნხენში მოპოვებული წარმატება გაიმეოროს. გუნდის ლიდერებმა (ნაკრებში ამჯერად მხოლოდ კიზიმოვი არ გამოდიოდა) პეტუშკოვამ და კალიტამ დაამტკიცეს, რომ მოცემულ ეტაპზე საუცხოოდ არიან მომზადებული. რაც შეეხება მსაჯობას, ბევრი უცხოელი სპეციალისტის აზრით, იგი მაინცდამაინც ობიექტური ვერ იყო. ჩვენ გამოვცადეთ ახალგაზრდობა და კმაყოფილი ვართ კოპეიკინის, უგრიუმოვის, მენკოვას გამოსვლებით.

დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გფრ-ის ნაკრებმა, რომელმაც წარმატებით ჩაატარა ექსპერიმენტი რეზერვთან, ფაქტიურად მეორე შემადგენლობა გამოიყვანა და „დიდი გუნდური პრიზი“ მოიპოვა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენც ამგვარი რამ უნდა ვცადოთ, ვინაიდან, სამწუხაროდ, ჩვენი „მეორე ეშელონი“ ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამორჩება ლიდერებს ოსტატობის დონით. და მაინც, სულ 185-ქულიანი სხვაობა და ევროპის პირველობაში მოპოვებული II ადგილი იმედს გვაძლევს, რომ მონრეალში წარმატებით გამოსვლას შევძლებთ. ჩვენ კიევში მოვიწვიეთ თავისებური სტაჟირების გასავლელად ყველა მწვრთნელი მოკავშირე რესპუბლიკებიდან, დაახლოებით 50 კაცი, რათა მათ ახალგაზრდებთან მუშაობაში გაითვალისწინონ ყველაფერი საუკეთესო, რითაც დღეს მდიდარია ცხენოსნობის უმაღლესი სკოლა.

ვ. ბაბკინი,
ს. ბელოვი,
ი. ხაიკო.
(საკდესის სპეც. კორ.).

ფეხბურთი '75

სსრ კავშირის პირველობა

ფრე ცსკა-სთან

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 10 აგვისტო.

ცსკა — „დინამო“ (თბილისი) 0:0.

ცსკა: ასტაპოვსკი, უტკინი, ხუდიევი (მოროზოვი), ვისოკიხი, კაპლიჩნი, ანდრიუშჩენკო, შალნევი, კოპეიკინი, კუზნეცოვი, დოროფეევი (მუხანოვი), ჩესნოკოვი.

„დინამო“: გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ებრალიძე, მუჯირი, ქორიძე, გ. მაჩაიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი (ხიზანიშვილი), გუცაევი, ყიფიანი.

მსაჯი ე. აზიმ-ზადე (ბაქო). გაფრთხილებულია ვ. გუცაევი.

დუბლიორები — 1:1.

გათამაშების ცხრილში ერთმანეთთან ახლოს მყოფ მეტოქეებს უკიდურესად დაძაბული ბრძოლა მოელოდათ, ვინაიდან ქულები ჰაერივით ესაჭიროებოდა ორივე გუნდს. ამას გარდა, არმიელებს უნდა ეზრუნათ პირველ წრეში განცდილი დამარცხების რევანშისთვის.

მაგრამ მატჩი არ გამოდგა საინტერესო სანახაობრივი თვალსაზრისით. სტუმართა როლში მყოფმა დინამოელებმა საფუძვლიანად გამაგრებული დაცვისა და ნახევარდაცვის აქტიური თამაში არჩიეს და ამ ზონებში არაფერი დაუთმეს მეტოქეს, წინ კი გუცაევი და ყიფიანი დატოვეს კონტრშეტევებისთვის. ასეთ ვითარებაში არმიელებს მეტი აგრესიულობის გამოჩენა მართებდათ, მაგრამ მათი თავდამსხმელები, უპირველესად კი გუნდის საუკეთესო ბომბარდირი კოპეიკინი, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იყვნენ მოქცეული და ბურთი იშვიათად აღწევდა მეკარე გოგიამდე. მე-20 წუთზე კოპეიკინმა შეძლო ძალიან ხელსაყრელ პოზიციაში გასვლა, მაგრამ გოგიამ დროზე მოასწრო სიტუაციის მოგერიება, ტაიმის დასასრულს კი ქორიძის მიერ შორიდან დარტყმული ბურთი ოდნავ აცდა მიზანს.

შედარებით გამოცოცხლდა თამაში მეორე ტაიმის დასაწყისში, იმატა ტემპმა, თბილისელთა ნახევარმცველები რამდენიმეჯერ ჩაებნენ იერიშში და ერთ-ერთი შეტევის დროს უტკინმა აშკარა გოლისგან იხსნა კარი, როცა ზედ ხაზიდან გამოიტანა ბურთი. მერე ყიფიანს და ხიზანიშვილს შეექმნათ კარგი მომენტები, ასტაპოვსკიმ გაჭირვებით მოიგერია ქორიძის დარტყმა...

ასე გაგრძელდა დაახლოებით 20-25 წუთს, შემდეგ მასპინძლებმა შეძლეს მდგომარეობის გამოსწორება, მატჩის დასასრულს კი ცხადი შეიქნა, რომ გამარჯვება არც ერთ მხარეს არ ეწერა.

ვ. პავლოვი.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ჩემპიონატის ქრონიკა

10 აგვისტოს დონის როსტოვში შედგა ჩემპიონატის მორიგი მატჩი ადგილობრივ არმიელთა გუნდსა და მოსკოვის „დინამოს“ შორის. გათამაშების ერთპიროვნულმა აუტსაიდერმა მთელი შესაძლებლობით იბრძოლა ერთ-ერთი ლიდერის წინააღმდეგ და გამარჯვებასაც მიაღწია — 1:0.

გადამწყვეტი გოლი დინამოელთა კარში გაიტანა ნაზარენკომ.

აღსანიშნავია, რომ მოსკოველებს შეეძლოთ თავი დაეღწიათ დამარცხებისთვის, მაგრამ კოზლოვმა 11 მეტრიანი დარტყმა ვერ გამოიყენა.

უმაღლესი ლიგა

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ კ.	17	11	4	2	35—15	26
„დნეპრი“	18	8	5	5	25—21	21
„დინამო“ მ.	19	7	7	5	21—17	21
„დინამო“ თბ.	19	8	4	7	21—19	20
„შახტიორი“	17	7	5	5	26—18	19
ცსკა	18	6	7	5	20—17	19
„ჩერნომორ.“	18	7	5	6	19—20	19
„ტორპედო“	18	6	6	6	23—21	18
„კარპატი“	18	5	8	5	23—21	18
„ზარია“	18	6	6	6	21—23	18
„არარატი“	18	8	2	8	22—25	18
„სპარტაკი“	17	5	7	5	14—14	17
„ლოკომოტივი“	18	4	8	6	14—17	16
„ფახთაქორი“	18	6	4	8	20—25	16
„ზენიტი“	18	4	5	9	15—28	13
სკა	19	3	3	13	13—31	9

I ლიგა

9 აგვისტოს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

ქუთაისის ტორპედოელები ალმა-ათაში შეხვდნენ ადგილობრივ „ქაირათს“. მატჩის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც მასპინძლებმა გაიტანეს 83-ე წუთზე (მარტიანი). გაიმარჯვა „ქაირათმა“ — 1:0.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ალგა“ (ფრუნზე) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:3, „პამირი“ (დუშანბე) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი) 0:0, „ნეფთჩი“ (ბაქო) — „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) 0:0, „დინამო“ (მინსკი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 4:1, „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) — „ტავრია“ (სიმფეროპოლი) 2:2, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 0:1, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „სპარტაკი“ (ივანო-ფრანკოვსკი) 5:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „რუბინი“ (ყაზანი) 2:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 12 აგვისტოსთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“	23	12	7	4	31—14	31
„კრ. სოვეტ.“	23	12	5	6	42—23	29
„ქაირათი“	23	12	4	7	34—20	28
„ტავრია“	23	11	6	6	35—24	28
„ნისტრუ“	23	11	6	6	27—27	28
„ტორპედო“	23	9	9	5	30—20	27
„ნეფთჩი“	23	10	7	6	28—20	27
„სპარტ.“ ორ.	23	9	7	7	24—19	25
„სპარ.“ ი.-ფ.	23	9	6	8	30—27	24
„მეტალურგი“	23	7	9	7	28—23	23
„შინიკი“	23	7	9	7	24—22	23
„პამირი“	23	7	8	8	27—28	22
„კუზბასი“	22	8	5	9	23—27	21
„ყუბანი“	23	6	8	9	23—25	20
„მეტალისტი“	23	6	8	9	17—25	20
„ზვეზდა“	22	8	3	11	19—24	19
„რუბინი“	22	6	7	9	19—34	19
„სპარტ.“ ნ.	23	4	9	10	15—29	17
„ურალმაში“	22	7	2	13	21—34	16
„ალგა“	23	3	3	17	16—48	9

II ლიგა I ზონა

9 აგვისტოს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

„დინამო“ (ბათუმი) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:1

ბათუმის დინამოელები ერთობ არასახარბიელო მდგომარეობაში არიან გათამაშების ცხრილში. ცნობილია, რომ მათი საუკეთესო ფეხბურთელები ქორიძე, ხიზანიშვილი და თ. ესებუა თბილისის „დინამოში“ გამოდიან, ამ მატჩში კი ავადმყოფობის გამო მონაწილეობა ვერ მიიღეს ძლიერმა მოთამაშეებმა გოგიჯანაშვილმა და არუთინიანმა. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობით ჩაატარეს შეხვედრა. მე-15 წუთზე ჩელებაძისგან მიღებული ბურთი ძლიერად დაარტყა კარში ქიქავამ, მაგრამ „მეტალურგის“ მეკარემ მელაძემ შეძლო მისი აღება. შემდეგ კარგი კომბინაცია განახორციელეს რუსთაველებმა, რომელიც ძლიერი დარტყმით დაამთავრა ალადაშვილმა და ამჯერად დინამოელთა მეკარე სურგულაძემ გამოიჩინა თავი.

ტაიმის დამთავრებამდე გოლის გატანა შეეძლოთ ბათუმელთა თავდამსხმელებს ი. ესებუას და ჩელებაძეს. კერძოდ, ეს უკანასკნელი რამდენიმე ნაბიჯის მანძილზე იყო კარიდან და ვერ შეძლო ზუსტად დარტყმა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები განაგრძობდნენ იერიშებს, კვლავ მოუხდა ძნელი ბურთების აღება მელაძეს, 75-ე წუთზე კი მეტალურგებმა შეძლეს კონტრშეტევის განვითარება, რომელიც მოულოდნელი დარტყმით დააგვირგვინა ალადაშვილმა. ამ გოლმა სტუმრებს გამარჯვება მოუტანა...

ო. მურვანიძე.

„ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „გურია“ (ლანჩხუთი) 4:1

სამტრედიელებმა დიდი მონდომებით, ენერგიულად ითამაშეს „გურიის“ წინააღმდეგ. ოც წუთს თანაბარი ბრძოლის შემდეგ უპირატესობას თანდათან მასპინძლები დაეუფლნენ, ისინი მოქმედებდნენ გაშლილად, გრძელი გადაცემებით. 30-ე წუთზე ბოჭორიშვილმა ძნელი მდგომარეობიდან ზუსტად დაარტყა კარში და სტუმრების მეკარე კირვალიძემ ვერ შეძლო მდგომარეობის ხსნა. ტაიმის დასასრულს „ლოკომოტივის“ ერთ-ერთი კომბინაციის შემდეგ ბახტაძე პირისპირ აღმოჩნდა მეკარესთან, მაგრამ იგი აკრძალული ილეთით წააქციეს. კალაძემ კარგად გამოიყენა 11-მეტრიანი — 2:0.

ლოკომოტიველთა უპირატესობით მიმდინარეობდა თამაში შესვენების შემდეგაც. მართალია, 50-ე წუთზე ლანჩხუთელთა ერთ-ერთი კონტრიერიშისას როხვაძემ საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, მაგრამ მასპინძლები კვლავ განაგრძობდნენ შეტევას, რასაც მოჰყვა დარჯანიას და ქარქაშაძის 2 გოლი.

სამტრედიელმა ფეხბურთელებმა რევანში აიღეს პირველ წრეში დამარცხებისთვის.

ა. სირაძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მომენტი ლანჩხუთელთა კართან.

ავტორის ფოტო.

სხვა ზონები

ასე დამთავრდა: „ფახთაჩი“ (გულისტანი) — „ჯიზაკი“ (ჯიზაკი) 0:1, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „სტროიტელი“ (აშხაბადი) 1:0, „ხაზარი“ (სუმგაითი) — „იანგიერი“ (იანგიერი) 3:3, „პროგრესი“ (კიროვაბადი) — „ხანკი“ (იანგიარიკი) 3:2.

კრიზს „არარატი“ დაეუფლა

სსრ კავშირის თასზე

მოსკოვი. ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. 9 აგვისტო.

„არარატი“ (ერევანი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) 2:1 (2:1).

„არარატი“: აბრამიანი, გევორქიანი, სარქისიანი, მირზოიანი, მარტიროსიანი, მესროპიანი, ანდრეასიანი, ბონდარენკო, ნ. პეტროსიანი, მარქაროვი, იშტოიანი (ს. პეტროსიანი).

„ზარია“: ტკაჩენკო, პინჩუკი, მალიგინი, ჟურავლიოვი, ვასენინი, ავერიანოვი, კუზნეცოვი, კოვალიოვი, კუკსოვი, ბელოუსოვი, ელისეევი.

მსაჯი ვ. რუდნევი (მოსკოვი).

გაფრთხილებულია ს. გევორქიანი.

სსრ კავშირის თასის ფინალური მატჩი ჩატარდა საინტერესოდ, მაღალ სპორტულ დონეზე. გამარჯვებულებმა — ერევნელმა ფეხბურთელებმა — სავსებით დამსახურებულად მოიპოვეს ბროლის თასი, მაგრამ ქების ღირსი არიან დამარცხებულებიც, რომლებმაც დიდი ენერგია და გამარჯვებისადმი სწრაფვა გამოავლინეს.

ანგარიში მე-8 წუთზე გახსნა ნაზარენკომ, რომელმაც დაახლოებით 25 მეტრიდან მოულოდნელად და ძლიერად დაარტყა შორეულ კუთხეში.

ამ გოლის შემდეგ „არარატმა“ მკვეთრად მოუმატა თამაშს და ზედიზედ რამდენიმე კრიტიკული მომენტი შექმნა მოპირდაპირე კართან. მე-14 წუთზე უხეში შეცდომა დაუშვა „ზარიას“ მცველმა მალიგინმა, რომელმაც უკან მიაწოდა ბურთი... ანდრეასიანს. „არარატის“ კაპიტანმა არ დააყოვნა მეტოქის ამ შეცდომის გამოყენება, მოატყუა კარიდან წინ გამოსული მეკარე და ბადეში მოათავსა ბურთი — 1:1. ტაიმის დამთავრებას 2 წუთი აკლდა, როცა ვოროშილოვგრადელთა საჯარიმო მოედანზე მოწოდებული ბურთი თავით ჩაჭრა ერთ-ერთმა მცველმა, აქ წამით თავისუფალი აღმოჩნდა მარქაროვი და „ზარიას“ კარი მეორედ აიღო.

თუ პირველ ტაიმში უპირატესობა „არარატს“ ჰქონდა, შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. მინდორს დაეუფლნენ ვოროშილოვგრადელები, რომლებიც ხშირად, მაგრამ უნაყოფოდ უტევდნენ. რამდენიმე ძნელი ბურთის აღება მოუხდა აბრამიანს, მაგრამ არც ტკაჩენკო იყო უსაქმოდ, ვინაიდან ერევნელები ძალიან სახიფათოდ და უნარიანად მოქმედებდნენ კონტრიერიშებისას. გოლის გატანის შესაძლებლობა მიეცათ ს. პეტროსიანს, მარქაროვს, ანდრეასიანს.

„არარატმა“ მაღალი კლასის ფეხბურთი ითამაშა და მეორედ მოიპოვა საპატიო პრიზი, „ზარიამ“ კი ზედიზედ მეორედ იწვნია დამარცხება ფინალურ მატჩში.

ერევნელ ფეხბურთელებს საზეიმო ვითარებაში გადაეცათ სსრ კავშირის თასი.

ფინალში გავიდნენ

წარმატებას მიაღწია საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტის ფეხბურთელთა გუნდმა (მწვრთნელი ე. გუგუშვილი), რომელმაც სასოფლო-სამეურნეო სამინისტროს სისტემაში შემავალი ინსტიტუტების საკავშირო გათამაშების ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

მომავალმა ზოოტექნიკოსებმა ჯერ გაიმარჯვეს რესპუბლიკურ გათამაშებაში, როცა ორ მატჩში სძლიეს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდს (2:4, 4:0), შემდეგ — ამიერკავკასიის ზონაში, სადაც შესაბამისად მოუგეს ერევნისა (3:0, 0:0) და აზერბაიჯანის (2:1, 1:1) სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების გუნდებს.

ნახევარფინალური ტურნირი მიმდინარეობდა ვოროშილოვგრადში. აქ ჩვენი გუნდის მეტოქეები იყვნენ ადგილობრივი, ოდესისა და ხარკოვის ფეხბურთელები. საქართველოს წარგზავნილებმა ფრედ (3:3) ითამაშეს ოდესელებთან, დაამარცხეს ხარკოვისა (3:0) და ვოროშილოვგრადის (4:1) გუნდები და გავიდნენ ფინალში.

გათამაშების გადამწყვეტ ეტაპზე იბრძოლებენ თბილისის, მოსკოვის, კიშინიოვის, ლვოვის, ყაზახეთისა და სოხუმის გუნდები.

უცხოეთის ამბები

მესამე თამაში მასპინძლებმა მოიგეს

მეხიკო, 10 აგვისტო. მასპინძელი ქვეყნისა და გდრ-ის ნაკრები გუნდების აქ გამართული მესამე ამხანაგური მატჩის ბედი 11-მეტრიანმა საჯარიმო დარტყმამ გადაწყვიტა. 1:0 — გაიმარჯვეს მექსიკელებმა.

ამ გუნდების მანამდე გამართულ ორ შეხვედრაში წარმატება სტუმრებს ხვდათ — 3:2 და 1:0.

ზეპ მაიერი — გფრ-ის საუკეთესო ფეხბურთელი

მიუნხენის „ბაიერნისა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების მეკარე ზეპ მაიერი დასავლეთგერმანელმა ჟურნალისტებმა წლევანდელი სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.

31 წლის მაიერი მეორე მეკარეა, რომელმაც დასავლეთ გერმანიაში ლაურეატის წოდება მოიხვეჭა. პირველი მეკარე ამ ათი წლის წინათ ჰანს ტილკოვსკი გახლდათ.

მაიერის შემდეგ ადგილები დაიკავეს ბერტი ფოგტსმა („ბორუსია“, მიონჰენგლადბახი) და ფრანც ბეკენბაუერმა („ბაიერნი“).

ჩემპიონატები, თასები, ტურნირები

შვეცია

უეფა-ს თასის გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკის“ მეტოქემ — სტოკჰოლმის აიკ-მა მორიგ ტურში ანგარიშით 3:0 დაამარცხა „ელფსბორგი“ და ახლა IV ადგილზეა გათამაშების ცხრილში.

საქდესი გოგვითხროგს

ჩვენი მოძმე რესპუბლიკები

სპორტი მიდის... სტუმრად

ვილნიუსში, გულბისის ტბაზე მოეწყო საწყლოსნო სპორტის ზეიმი, რომელიც ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიეძღვნა.

ლიტვაში ამ ადგილებისთვის უჩვეულოდ ცხელი ამინდებია. უქმე დღეებში ქალაქები თითქმის დაცლილია. ამიტომ ვილნიუსის სპორტულ ორგანიზატორებს ხალხი ფიზკულტურელის დღეს საგანგებოდ არ მიუწვევიათ სტადიონებზე. თუმცა შეჯიბრებები მრავლად ტარდებოდა. მაინც დიდძალმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ვინგისის ტყე-პარკში ჩატარდა საჩვენებელი საცხენოსნო-სპორტული შეჯიბრებები. მაყურებელთა ტრიბუნად იქცა გიგანტური ესტრადა, სადაც სამი კვირის წინათ საბჭოთა ლიტვის დაარსების 35 წლისთავზე 30000-კაციანი მომღერალთა გუნდი გამოდიოდა. დღეს ამავე ესტრადაზე მოეწყო შეხვედრა სპორტის ვეტერანებთან, სამამულო ომის მონაწილეებთან.

ყველაზე მეტი ხალხი იყო ვალაკამპიაის ოქროსფერ პლაჟებზე. აქ დილიდანვე დაიწყო შეჯიბრებები ხელბურთში, ბადმინტონში, სიმძიმეების აწევაში, კალათბურთის კალათში ზუსტად ტყორცნაში. სარბიელზე გამოსვლა ყველა მსურველს შეეძლო.

ვილნიუსი.

ს. ვაინტრაუბასი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო ინტერვიუ

ᲓᲔᲕᲘᲖᲘ: ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ



ახლახან კიევისა და რიგის მახლობლად მდებარე ტრასებზე ჩატარდა სსრ კავშირის ჩემპიონატი საავტომობილო წრიულ რბოლაში. ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ქვეყნის ჩემპიონის წოდება პირველი ფორმულის სარბოლო მანქანებზე მოიპოვა თბილისელმა სპორტის ოსტატმა გურამ დგებუაძემ. ამ დღეებში ჩემპიონი თბილისში დაბრუნდა. „ლელოს“ კორესპონდენტი ბ. ქვასაძე შეხვდა მას და რამდენიმე შეკითხვით მიმართა.

● გურამ, სპორტულ პრესაში თქვენი გამარჯვების შესახებ სხვადასხვა ცნობა გამოქვეყნდა. ერთნი წერდნენ, რომ ასპარეზობა მოიგეთ მეორე ფორმულის მანქანებით, ზოგი მეოთხე ფორმულის ავტომობილებით გამარჯვებას მოგაწერდათ, ზოგი კი „ვოლგებით“ შეჯიბრებაში პირველობას. რომელია სწორი?

მანქანების კლასიფიცირების დროს მართლაც ძალიან ხშირად უშვებენ უზუსტობას. ამას მარტო ჩემს შესახებ როდი მოგახსენებთ. ამიტომ მინდა ცოტა დაწვრილებით შევჩერდე ამ საკითხზე.

წრიულ ავტორბოლაში სერიული და სარბოლო მანქანები მონაწილეობენ. სერიული მანქანები ძრავის ლიტრაჟის მიხედვით ათ კლასად იყოფა.

სარბოლო მანქანებიც ასევე ლიტრაჟის მიხედვით იყოფა ფორმულებად: I — 600-დან 3000 კუბურ სანტიმეტრამდე, II — 1300-დან 1600 კუბურ სანტიმეტრამდე, III — 1000-დან — 1300 კუბურ სანტიმეტრამდე და IV — 350 კუბურ სანტიმეტრამდე. მე პირველი ფორმულის მანქანით გამოვდიოდი. აქ შედის ყველაზე სწრაფი და მძლავრი ავტომობილები.

● ამბობენ, რომ რბოლაში წარმატება ზოგჯერ მთლიანად მანქანაზეა დამოკიდებული. სწორია ეს?

— რბოლა ძალიან სერიოზული შეჯიბრებაა და აქ წარმატება დამოკიდებულია კომპონენტების მთელ კომპლექსზე. რა თქმა უნდა, მოუმზადებელი მანქანით დიდ სისწრაფეს ვერ მიაღწევ. მაგრამ მანქანას ხომ ადამიანი მართავს, იგი ამზადებს მას სტარტისთვის, სწავლობს მის „ხასიათს“, რბოლის ტრასას, მეტოქეებს. მთავარი როლი უდავოდ მრბოლელს ეკუთვნის. ისაა თავისი გამარჯვების შემოქმედი ან „მთავარი დამნაშავე“ წაგებაში.

● როგორ ემზადებოდით ქვეყნის ჩემპიონობისთვის?

— ყველაზე დიდი დრო და ძალა თვით მანქანის მომზადებას, ძრავის რეგულირებას, სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობის დამზადებას მიაქვს. სახელდობრ სისწრაფისთვის კი ჩვენ არ ვვარჯიშობთ, რადგან აუცილებელია ძრავის რესურსის შენარჩუნება. შესაძლებლობა გვეძლევა ვივარჯიშოთ მხოლოდ სტარტამდე ერთი დღით ადრე. ესაა ეგრეთ წოდებული ოფიციალური ვარჯიში, როცა მსაჯები ყოველ წრეს წამზომით აღრიცხავენ და შემდეგ საუკეთესო დროის მიხედვით ანაწილებენ მრბოლელებს სტარტზე.

● ვინ იყო თქვენი მთავარი მეტოქე წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში?

— სპორტსმენები, რომლებთანაც მე უკვე დიდი ხანია დავა მაქვს გამართული — სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონი, ესტონელი საარმის, ლენინური კომკავშირის სახელობის ქარხნის წარმომადგენელი, ასევე ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი, მოსკოველი ტერენეცკი, შარშანდელ საკავშირო პირველობაში გამარჯვებული, მოსკოველი ბორკოვსკი, მოსკოვის ავტოსაგზაო ინსტიტუტის წარმომადგენელი ვიზდეკალვე... ისინი არა მარტო ბრწყინვალე მრბოლელები არიან, არამედ საავტომობილო საქმის საუკეთესო სპეციალისტებიც. მათ მანქანებზე სულ სხვადასხვა ძრავა დგას — „ვოლგისაც“, „ფიატ-132“-საც, ექსპერიმენტული V-სებური სამამულო წარმოებისაც, „ფორდისაც“ კი. ჩემს მანქანას „მოსკვიჩის“ ძრავა აქვს 1900 კუბურ სანტიმეტრამდე გაზრდილი ლიტრაჟით.

● რა სქემით ტარდება ქვეყნის ჩემპიონატი?

— წინა წლებისგან განსხვავებით, სულ მოეწყო ორი ორსერიიანი ეტაპი (ორი რბოლა — კიევში, ორი — რიგაში) ერთკვირიანი ინტერვალით. ჩათვლაში შედიოდა სამი საუკეთესო რბოლის შედეგი. ამან ინტერესი შემატა შეჯიბრებას როგორც თვით მრბოლელებისთვის, ისე მაყურებლებისთვის.

● კიევთან ტრასა ახლახან მოეწყო. როგორ მოგეწონათ იგი?

— ამ ტრასას პოეტური სახელი ჰქვია — „თოლია“. წრის სიგრძე 4480 მეტრია. ტრასა მომეწონა — საიმედოა, ფართო, ოღონდ ესაა, რომ „ეშმაკური“ მოსახვევები ნაკლებადაა. თავიდან ვღელავდი, მეგონა, რომ ვერ შევძლებდი ამ ტრასის უცბად „წაკითხვას“. მაგრამ შემდეგ ყველაფერი მოგვარდა და ტრასის რეკორდიც კი დავამყარე — 1.59,6.

● ახლა კი მოდით, ჩემპიონატის სტარტებზე გადავიდეთ. როგორ ჩატარდა რბოლები?

— კიევში სტარტი კარგად ავიღე და მაშინვე წინ გავიჭერი, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: 250 მეტრის გავლაც ვერ მოვასწარი, რომ უცებ ძრავა ჩაქრა. გამანაწილებლიდან ამოვარდა მაღალი ძაბვის გამტარი. მე მანქანიდან გადმოვხტი და, საბედნიეროდ, მაშინვე მივხვდი მიზეზს. წუთ-ნახევარზე მეტი არ დამიკარგავს და ამან გამამხნევა. თანდათან ბოლო ადგილიდან მეწინავე ჯგუფში გადავინაცვლე და ფინიშთან მეორე მივედი, პირველი იყო საარმი. ამ ეპიზოდმა ჩემთვის დიდი როლი ითამაშა. მან კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ბრძოლა საჭიროა ბოლომდე.

მეორე სერიაში ოთხი წრე მე პირველი მივდიოდი. მერე, ძრავის გაფრთხილების მიზნით, სისწრაფეს ვუკელი და ხელი ავწიე, რათა საარმი გამეშვა წინ. შედეგად ორი სერიის ჯამში საარმმა 190 ქულა დააგროვა, მე — 155.

ერთი კვირის შემდეგ რიგის ნაცნობ ტრასაზე მე უკვე პირველი ადგილი დავიკავე და საბოლოო ჯამში 283 ქულა დავაგროვე. საარმის შედეგი იყო 273 ქულა. ჩემმა კარგმა მეგობარმა და მეტოქემ საარმმა პირველმა მომილოცა გამარჯვება. ძალიან გულთბილად შემხვდნენ მაყურებლებიც. ერთ-ერთ წრეზე მე პირადი რეკორდი დავამყარე — 1.39,5, რაც საათში 133 კმ საშუალო სიჩქარეს შეესაბამება. ზოგიერთ მონაკვეთზე კი სიჩქარე 220 კილომეტრამდე ადიოდა.

● ვის გაუზიარებდით თქვენს გამარჯვებას ქვეყნის ჩემპიონატში?

— პირველ ყოვლისა, ჩემს ერთგულ თანაშემწეებს, რომლებიც ძალიან მეხმარებოდნენ მანქანის მომზადებაში — საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არაორგანული ქიმიის ინსტიტუტის სახელოსნოების ხელმძღვანელს ლაზარ ბორმშევს და მეხუთე ტაქსომოტორების პარკის შოფერს რობერტ მესროპიანს.

● ავტორბოლები ხელს უწყობს ხასიათის წრთობას, სპორტსმენში სიმამაცის, სწრაფი რეაქციისა და ბევრი სხვა თვისების გამომუშავებას. გარდა ამისა, ყოველი რბოლა — ესაა ტექნიკის, მისი სიახლეების გამოცდა. საბოლოო ჯამში ესაა ავტომობილმშენებლობის პროგრესი. რა მოგვცა ქვეყნის წლევანდელმა ჩემპიონატმა ამ თვალსაზრისით?

— ბევრი რამ. ტრასაზე გამოცდილი სიახლეები შემდეგ ხშირად წარმოებაში ინერგება. მაგალითად, ჩემი მანქანის ძრავით დაინტერესდნენ ლენინური კომკავშირის ქარხნის სპეციალისტები ლიფშიცი და შჩაველევი, ცნობილი მრბოლელები, ბევრი საერთაშორისო შეჯიბრების, მათ შორის ლონდონ — სიდნეის რალის მონაწილენი. როგორც მითხრეს, ისინი ყოველი ჩემი მოხვევის სანახავად დადიოდნენ. მათ წინადადება მომცეს, ერთად ვითანამშრომლოთ. მე, რა თქმა უნდა, მოხარული ვიქნები, თუ შევძლებ რაიმე წვლილი შევიტანო საავტომობილო ტექნიკის განვითარებაში.

* * *

სურათებზე: გ. დგებუაძე; ჩემპიონის მანქანა რბოლის დროს.

ა. რუხაძის ფოტო.
(საქინფორმი).

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ-75

● **ლვოვი, 9 აგვისტო.** უკრაინის დინამოელ მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში ოდესელმა სტუდენტმა, 22 წლის ა. ჟერებცოვმა შუბის ტყორცნაში წლეულს სსრ კავშირში საუკეთესო შედეგს მიაღწია — 86,92 მ (უკრაინის რეკორდი).

● **სოფია, 9 აგვისტო.** კალათბურთელ ქალთა გუნდების საერთაშორისო შეჯიბრებაში — „ოქროს დიანას“ თასის გათამაშებაში ყველას აჯობა სსრ კავშირის ნაკრებმა. გადამწყვეტ მატჩში მან ანგარიშით 75:70 (26:15) დაამარცხა ბულგარეთის ნაკრები.

● **მეხიკო, 9 აგვისტო.** „ვისენტე სუარესის“ ოლიმპიურ სასროლეთზე გამართულ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში მექსიკისა და კუბის მესტენდურეთა შორის ბრწყინვალე შედეგს მიაღწია კუბელმა რობერტო კასტრილიომ. მან მსოფლიო რეკორდი გაიმეორა მრგვალ სტენდზე ასპარეზობისას — 200 ქულა 200-დან!

● **ალმა-ატა, 10 აგვისტო.** ყაზახეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეებმა კვლავ დაადასტურეს თავიანთი მაღალი რეპუტაცია — საბჭოთა კავშირის გმირის ს. ბაიმაგამბეტოვის საერთაშორისო ტრადიციულ მემორიალში 7 ოქროს მედალი მოიპოვეს 9-დან. ტურნირში გაიმარჯვეს (წონითი კატეგორიების მიხედვით): ო. აჰმედოვმა, ნ. მაილოვმა, ე. კასენოვმა, ბ. შამატოვმა, ბ. კასენოვმა, ს. კლიმოვმა (ყველა — სსრ კავშირი), დ. სავოვსკიმ (ბულგარეთი), ბ. მაცკევიჩმა (პოლონეთი), ი. კრიკლივცევმა (სსრ კავშირი).

● **ვიგო, 10 აგვისტო.** სსრ კავშირის კალათბურთელ გოგონათა ნაკრებმა, რომელსაც არაერთხელ მოუპოვებია გამარჯვება ევროპის იუნიორთა ჩემპიონატებში, ახლა მხოლოდ III ადგილი დაიკავა ესპანეთის ამ ქალაქში გამართულ პირველობაში. ბრინჯაოს მედლებისთვის გამართულ მატჩში სსრ კავშირის გუნდმა მოუგო ბულგარელებს — 80:57. ოქროს ჯილდოები ხვდათ ჩეხოსლოვაკიელებს. გადამწყვეტ მატჩში ამ ქვეყნის გუნდმა დაამარცხა პოლონეთის ნაკრები — 53:48.

● **ზაგრები, 10 აგვისტო.** მაგიდის ჩოგბურთის ახალგაზრდა ოსტატებმა ევროპის იუნიორთა პირველობაში 5 ოქროს, 2 ვერცხლისა და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ქალიშვილთა შორის ჩემპიონი გახდა სვერდლოვსკელი ტ. ფერდმანი, რომელმაც ფინალში დაამარცხა ბელგიელი მ.-ფ. ჟერმიატი — 2:1. ჭაბუკებში ყველას აჯობა ერევნელმა ბ. ბურნაზიანმა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელი მ. შენკი — 2:0. ფერდმანმა პიატიგორსკელ ნ. მეშკოვასთან ერთად გაიმარჯვა ქალთა წყვილებში. ვაჟთა წყვილებში ყველას აჯობეს შვედებმა მ. ნილსონმა და ა. გრონლუნდმა. შერეულ წყვილებში გაიმარჯვეს უნგრელებმა გაბრიელა საბომ და იანოშ მოლნარმა. საბჭოთა სპორტსმენები ასევე პირველნი იყვნენ უმცროსი ასაკის ჭაბუკებისა და გოგონების შეჯიბრებაში.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

იუჯინი (აშშ), 10 აგვისტო. აქ დამთავრდა მძლეოსნურ მრავალჭიდში ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, კანადისა და პოლონეთის სპორტსმენთა შეჯიბრება. ქალთა ხუთჭიდში I ადგილი სსრ კავშირის ჩემპიონმა ნ. ტკაჩენკომ დაიკავა — 4698 ქულა. ათჭიდში პირველი იყო ამერიკელი ბ. ჯენერი, რომელმაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 8524 ქულა.

ᲠᲔᲙᲝᲠᲓᲔᲑᲘ

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ [illegible]

ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. 12 აგვისტო. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — ასკ (თბილისი). დასაწყისი 18 ს.

15-17 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ
„ᲒᲐᲜᲗᲘᲐᲓᲘᲡ“
ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ
ᲙᲘᲙᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲓᲐᲛᲝᲔᲑᲨᲘ
ᲐᲬᲧᲝᲑᲡ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲗᲐ
ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ
ᲨᲔᲙᲠᲔᲑᲐᲡ

პროგრამაშია: ტურისტული ლაშქრობა და შეჯიბრებები მთელ კომპლექსის მრავალჭიდში. **მონაწილეობენ:** აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, ფოთის, ჭიათურის, რუსთავის, გორის, მახარაძის, ზუგდიდის, სამტრედიის, წყალტუბოს, წულუკიძის, ტყიბულის, ზესტაფონის, ონის, თერჯოლის, ცხაკაიას, აბაშის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, გეგეჭკორის, საგარეჯოს, ხაშურის, ბორჯომის, ახალციხის, კასპის, მცხეთის, დუშეთის, ლანჩხუთის საწარმოო ორგანიზაციათა გუნდები.

დასაწყისი ზემო წყნეთში: 15 აგვისტოს — 15 საათზე, დანარჩენ დღეებში — 9 საათზე.

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ

ᲠᲝᲒᲝᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲤᲘᲜᲘᲨᲘ?

კელვინ ბაუერსს დედამიწის ირგვლივ 10,5 ათასი მილი უნდა გაევლო სირბილით, მაგრამ სულ რაღაც ათასი მილი ჰქონდა გასავლელი, როცა აღმოჩნდა, რომ რბენა საჭირო აღარ იყო.

ეს გიგანტური გადარბენა ჩაფიქრებული იყო როგორც სარეკლამო ღონისძიება. მას უნდა მიექცია საზოგადოებრიობის ყურადღება და ხელი შეეწყო ინგლისის ქალაქ სტოკ-ონ-ტრენტის სპორტული კლუბის მისამართით შეწირულებათა მოზღვავებისთვის. ვინაიდან არავითარი იმედი არ იყო, რომ სახელმწიფო სახსრებს გაიღებდა ქალაქისთვის აუცილებელი სპორტული კომპლექსის ასაშენებლად, კლუბმა გადაწყვიტა თვითონ ეპოვა გამოსავალი. გადარბენა ორიგინალურ და საიმედო გზად ეჩვენათ.

თავიდან ყველაფერი კარგად დაიწყო. შარშან აპრილში ქალაქის ხელისუფლებამ მიღება მოაწყო მოყვარული მარათონელის კელვინ ბაუერსის პატივსაცემად. ერთ-ერთი ადგილობრივი გარაჟის მეპატრონემ მას გამოუყო ავტომანქანა-ფურგონი აუცილებელი მოწყობილობით. აღმოჩნდნენ მოხალისე თანაშემწეები, რომლებმაც სურვილი გამოთქვეს მორბენალს გაჰყოლოდნენ.

1974 წლის აპრილში ცოტა ვინმე თუ იფიქრებდა, რომ ერთი წლის შემდეგ ფასები 25 პროცენტით გაიზრდებოდა და ზედმეტი კაპიკის გაღებას ყველა დაინანებდა. ბაუერსი, ისევე როგორც მილიონობით სხვა ადამიანი, ინგლისში არნახული ინფლაციის მსხვერპლი გახდა. ახლა გადარბენის ორგანიზატორთა მთელი საზრუნავი იმით ამოიწურება, რომ ფული იშოვონ, რათა ბაუერსი და მისი თანაშემწეები ავსტრალიიდან როგორმე შინ დააბრუნონ.

29 წლის მორბენალმა ამ გრძელ გზაზე გამოიჩინა არა მარტო ამტანობა, არამედ დიდი მოთმინება და ვაჟკაცობაც. იუგოსლავიაში იგი პოლიციამ დააპატიმრა, ვინაიდან დედამიწის ირგვლივ რბენის ვერსია საეჭვოდ მოეჩვენა; თურქეთში მან ძლივს დააღწია თავი გავეშებულ ძაღლებს; ირანში შორტებში გამოწყობილ მორბენალს მისი მორთულობით აღშფოთებულმა გლეხებმა ქვები დაუშინეს; პაკისტანში ბაუერსი მიწისძვრაში მოჰყვა.

მაგრამ უსიამოვნებანი ამით არ დამთავრებულა. ავსტრალიაში, თუ კლუბის ორგანიზატორებმა ფული ვერ იშოვეს, საიმიგრაციო ხელისუფლებას შეუძლია კელვინი ლატაკთა რიცხვს მიაკუთვნოს და ციხეშიც კი ჩასვას. სტოკ-ონ-ტრენტის კლუბის წარმომადგენელმა განაცხადა: „ჩვენ თითქმის გავკოტრდით, მაგრამ სხვა საშუალება აღარა გვაქვს“

ვ. ვასილევი.
(საკლების კორ.).

ლონდონი.

ИНДЕКС 66413
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02852